**ხელშეკრულება N02/10/151-19**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „23“ სექტემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“** წარმოდგენილი - მისი დირექტორის მაკა გვარამიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს ,,ჯეოტურანი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა რუსაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ***გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:***

**გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- ,,მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**1. შესყიდვის ობიექტი**
**1.1 შესყიდვის ობიექტია:** სსიპ ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ადმინისტრაციულ და რაიონული სამსახურების შენობებში სარინელის/კანალიზაციის გაწმენდის მომსახურების შესყიდვა, დანართი 1-ის შესაბამისად - CPV 90470000.
**1.2** დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**
2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ***1060.00 (ერთიათასსამოცი) ლარს.***
2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით.
2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.

**3. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი**

3.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილებია: თბილისის მასშტაბით შემსყიდველის ადმინისტრაციული და რაიონული სამსახურების შენობები, მისამართები მოცემულია დანართ 2-ში.

**4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **ხელშეკრულების გაფორმებიდან** და მოქმედებს **2020 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.**

**5. სტანდარტები**
5.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში დადგენილ სტანდარტებს.

**6. მომსახურების ხარისხი**
6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

**7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

7.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ - **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სამეურნეო განყოფილების უფროსი.**

**8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ **7.5 პუნქტში მითითებული პირები.**

8.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

**9. ანგარიშსწორება**

9.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღრებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. უფლებების გადაცემა**

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

**12. სუბკონტრაქტორები**

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი

ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღურება.
13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**
14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

**15. ფორს-მაჟორი**
15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**16. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**17. გამოყენებული სამართალი**

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**18. შეტყობინება**

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**19. სხვა პირობები**

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| *შემსყიდველი* | *მიმწოდებელი* |
|---|---|
| **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“** | შპს ,,ჯეოტურანი“ |
| მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8 | მის.: თბილისი, აკ. ბელიაშვილის ქ. N132 |
| ტელ: 2 547099 | ტელ. 568 600 308; 2 473 473. |
| ს/კ: 200280141 | ელექტრონული მისამართი: info@turanmak.ge |
| სახელმწიფო ხაზინა | ს/კ 412670499 |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | სს ,,თიბისი ბანკი “ |
| სახაზინო კოდი: 300779921 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| | ა/ა GE60TB7930236020100005 |
| **დირექტორი** | **დირექტორი** |
| **/მაკა გვარამია/** | **/პაატა რუსაძე/** |

TBILISI CITY MUNICIPALITY LEPL EMERGENCY MEDICAL SERVICE CENTER

Digitally signed by TBILISI CITY MUNICIPALITY LEPL EMERGENCY MEDICAL SERVICE CENTER
Date: 2019.09.23 18:59:07 +04'00'

ხელშეკრულება N02/10/151-19-ის დანართი 1

23 სექტემბერი 2019 წელი

## საკანალიზაციო ქსელზე საავარიო მდგომარეობაზე მომსახურების ფასები

| N | შესასრულებელი მომსახურების დასახელება | რაოდენობა | დაზიანების აღდგენა (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | საკანალიზაციო ჭის გაშვება | 1 ცალი | 100,00 |
| 2 | საკანალიზაციო დგარის გაწმენდა გასუფთავება | 1 ცალი | 80,00 |
| 3 | საკანალიზაციო მწოლიარე მილის გაწმენდა გასუფთავება | 1 მეტრი | 15,00 |
| 4 | ხელსაბანის ხაზის გაწმენდა | 1 ცალი | 80,00 |
| 5 | საკანალიზაციო სიფონის გაწმენდა | 1 ცალი | 50,00 |
| 6 | საკანალიზაციო ქსელის გარეცხვა წყლის ჭავლის საშუალებით | 1 მეტრი | 25,00 |
| 7 | საკანალიზაციო ტრაპის გაწმენდა-გასუფთვება | 1 ცალი | 70,00 |
| 8 | უნიტაზის/თურქულის გაწმენდა | 1 ცალი | 80,00 |
| 9 | საკანალიზაციო რეზერვუარის ამოტუმბვა | 1 კუბ. მ. | 120,00 |
| 10 | საკანალიზაციო ჭის ამოწმენდა | 1 ცალი | 100,00 |
| 11 | საკანალიზაციო ქსელის დიაგნოსტიკა (კამერით დათვალიერება) | 1 მეტრი | 20,00 |

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

/მაკა გვარამია/ /პაატა რუსაძე/

ხელშეკრულება N02/10/151-19-ის დანართი 2

23 სექტემბერი 2019 წელი

**სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რაიონული სამსახურების და პუნქტების შენობების მისამართები**

| | |
|---|---|
| 1 | გრ. ლორთქიფანიძის (კაიროს ქ.) N11; |
| 2 | გორგასალის ქ. N34; |
| 3 | ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, I „ა“ კორპუსი; |
| 4 | დიღმის მასივი მე-3 კვარტალი, მე-9 კორპუსი; |
| 5 | მუხიანი, გობრონიძის ქ. N27; |
| 6 | დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალის ქ. N15; |
| 7 | გურამიშვილის ქ. N15ა; |
| 8 | ცინცაძის ქ. N6; |
| 9 | ქერჩის ქ. N8; |
| 10 | უზნაძის ქ N43; |
| 11 | ვარკეთილის დასახლება, მე–3 მასივი, მე–10 კვ, კორპუსი ,,ზ" |
| 12 | ვარაზისხევისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზის მიმდებარე ტერიტორია; |
| 13 | წერონისის ქ. N164; (ლოტკინი) |
| 14 | ვარკეთილის დასახლება, ხუალინგის ცენტრი |
| 15 | წყნეთი, რუსთაველის ქ. N1 |
| 16 | ბოგდან ხმელნიცკის N181 |
| 17 | ფონიჭალა 3-ის დასახლებაში შენობა ნაგებობა N2 |

**,,შემსყიდველი“** **,,მიმწოდებელი“**

/მაკა გვარამია/ /პაატა რუსაძე/